ჩა სიახლეებს გვთავაზობს ბავშვის უფლებათა კოდექსის პროექტი

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა "ბავშვის უფლებათა კოდექსის" და თანმდევ კანონებში ცვლილებების პროექტები.

ახალი კოდექსი მიზნად ისახავს სახელმწიფო პოლიტიკის, სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში. იქმნება ერთიანი საკანონმდებლო აქტი ბავშვის უფლებების შესახებ. ახალი კოდექსი ყველა სახელმწიფო ორგანოს, ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ბავშვთან მუშაობის წარმართვისას სახელმძღვანელო უნდა იყოს.

კანონპროექტი, ინიციატორი

საკანონმდებლო ინიციატივა: "ბავშვის უფლებათა კოდექსი" და თანმდევ კანონებში ცვლილებების პროექტი.

ინიციატორი: სოფო კილაძე, ანრი ოხანაშვილი, კარლო კოპალიანი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ლევან ბეჟანიძე, კობა ლურსმანაშვილი, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, მერაბ ქვარაია, ირაკლი მეზურნიშვილი, გიორგი კახიანი, ცოტნე ზურაბიანი, აკაკი ზოიძე, დიმიტრი მხეიძე, გოგა გულორდავა, გურამ მაჭარაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, მახირ დარზიევი, მირიან წიკლაური, მამუკა მდინარაძე.

ავტორი: სოფო კილაძე, პაატა ტურავა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

კანონპროექტის არსი

ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება განპირობებულია საქართველოს მიერ გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულების და კანონმდებლობის დახვეწის აუცილებლობით.

პროექტის თანახმად:

- ერთმანეთისგან იმიჯნება ხელისუფლების სხვადასხვა შტოს, ასევე, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციები ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში;
- იზრდება სახალხო დამცველის საზედამხედველო როლი ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასების თვალსაზრისით;
- იქმნება მონაცემთა შეგროვების და ანალიზის ეროვნული გეგმა და ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმი;
- განისაზღვრება მუნიციპალიტეტის ორგანოების ვალდებულება - შეიმუშაონ ბავშვის სოციალური აქტივობის განვითარების, სოციალური ინტეგრაციის, მოხალისეობის ხელშემწყობი, აღმზრდელობითი, ჯანმრთელობის მხარდაჭერის, ოჯახში მხარდაჭერის პროგრამები;
- იქმნება ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემა, რაც გულისხმობს უფასო იურიდიულ დახმარებას, ბავშვთან მუშაობისთვის სპეციალიზებული პირების მომზადებას;
- წესდება დამატებითი სანქციები ბავშვის საჯარო სივრცეში ყოფნის წესების დარღვევის შემთხვევაში;
- ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების და ოჯახის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების პროცესში შესაძლებელია რელიგიური კონფესიების ჩართვა.

1. ოჯახის ცნება

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
სხვადასხვა კანონი განმარტავს ვინ ითვლება ოჯახის წევრად კონკრეტული კანონის მიზნებისათვის, თუმცა არ არის განსაზღვრული ზოგადად ოჯახის ცნება.	კანონის მიზნებისათვის ოჯახი შემდეგნაირად განიმარტება - საზოგადოების ფუნდამენტური ჯგუფი და ბავშვის აღზრდის, კეთილდღეობის და დაცვის ბუნებრივი გარემო, რომელიც ძირითადად შედგება ბავშვის, მისი მშობლის ან მშობლების, მეურვის, მზრუნველის, დის, ძმის ან/და ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირებისგან.

2. ბავშვის მავნე ზეგავლენისგან დაცვის განმარტება

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
„მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" კანონის თანახმად, მავნე ზეგავლენა გულისხმობს: ფილმების ჩვენებით, ნაბეჭდი პროდუქციის, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს მოხმარება-გასაღებით, აზარტულ თამაშობებში მონაწილეობით მიღებული ზემოქმედებას, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვნის ფსიქიკურ ან/და ფიზიკურ ჯანმრთელობას, მის მორალურ და სოციალურ განვითარებას.	ბავშვის უარყოფითი სოციალური გარემო ფაქტორების და ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავლენისაგან დაცვა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნის და სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების და ღონისძიებების განხორციელების საფუძველზე.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვისთვის მისი უფლებების გაცნობა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ ითვალისწინებს	საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მოვალეობად განისაზღვრა ბავშვისათვის ინფორმაციის მიწოდება საკუთარი უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ.

4. ბავშვის აზრის გათვალისწინება

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
ზოგიერთ საკითხში გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებენ ბავშვის აზრსაც, მაგალითად, "სამოქალაქო აქტების შესახებ" კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს მხოლოდ 10 წელზე მეტი ხნის ბავშვის თანხმობას გვარის შეცვლის შემთხვევაში, თუმცა, ბავშვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას ერთიან პრინციპად არაა დადგენილი ბავშვის აზრის გათვალისწინება.	• ბავშვის უფლებაა მოუსმინონ და გაითვალისწინონ მისი მოსაზრება იმ საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც გავლენას ახდენს ან მომავალში მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე. • ამ უფლების შეზღუდვა რაიმე საფუძვლით დაუშვებელია. „სამოქალაქო კოდექსში" დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით: 10 წლამდე ასაკის ბავშვისთვის გვარის შეცვლისას სასამართლო ვალდებული იქნება გაითვალისწინოს მისი სურვილი, მისივე სიმწიფის ხარისხის შესაბამისად. თუ ბავშვი 10 წელზე მეტისაა, საჭიროა მისი თანხმობაც.

5. ბავშვის საკუთრების უფლება

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ ითვალისწინებს შეზღუდვას.	„სამოქალაქო კოდექსში" დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, 500 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის გასხვისება მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად და სასამართლოს თანხმობის საფუძველზე.

6. ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მიმართ გათვალისწინებული კრიტერიუმები

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ ითვალისწინებს.	ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვის კანონიერ წარმომადგენლად დანიშნული პირი უნდა სარგებლობდეს მაღალი რეპუტაციით, გავლილი ჰქონდეს სავალდებულო სწავლება და ფლობდეს ბავშვებთან ურთიერთობისათვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

7. მაუწყებელთა ვალდებულებები

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
„მაუწყებელთა ქცევის კოდექსი" იცნობს არასრულწლოვანთა დაცვის პრინციპებსა და მაუწყებლობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ქცევის კოდექსით განსაზღვრულია როგორც ასაკობრივი ჯგუფები, ისე შესაბამისი პროგრამები და მათი სამაუწყებლო ბადეზე განთავსების პერიოდულობა, თუმცა აღნიშნული წარმოადგენს ეთიკის ნორმებს და დარღვევის შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული ქმედითი ბერკეტები და სანქციები.	„მაუწყებლობის შესახებ" კანონში შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით, მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვა ნაცვლად მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა მოწესრიგდება კანონის დონეზე, ამასთანავე ცვლილებებით გათვალისწინებულია ქმედითი ბერკეტები: • მაუწყებლებს დაეკისრათ ვალდებულებები, უზრუნველყონ არასრულწლოვანთა დაცვა მავნე ზეგავლენისაგან, განახორციელონ მაუწყებლობის საშუალებებით გავრცელებული პროგრამების ასაკობრივი ნიშანდების წესების დაცვაზე კონტროლი. • აკრძალულია მაუწყებლის მიერ ისეთი პროგრამის გადაცემა ან პროგრამაში მასალის განთავსება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას.

8. რეგულირდება ინტერნეტ-სივრცე

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ არსებობს რეგულაციები.	• ინტერნეტმიმწოდებელი ვალდებულია შეიმუშაოს ისეთი მექანიზმები, რომლის საშუალებითაც მომხმარებლის მოთხოვნით დაბლოკავს მის წვდომას ბავშვისათვის საფრთხის შემცველ ინფორმაციაზე; • დარეგულირდება ბავშვისთვის სახიფათო ინფორმაციის ინტერნეტში განთავსების საკითხიც.[1]

9. საკანონმდებლო ინიციატივების ზეგავლენის საკითხი ბავშვთა უფლებებზე

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
"ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს მსგავს ვალდებულებას.	„ნორმატიული აქტების შესახებ" კანონში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით: • მთავრობა ვალდებული იქნება კანონპროექტის განმარტებით ბარათში, სხვა მონაცემებთან ერთად, ასახოს **კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.** • მსგავსი ვალდებულება ექნება მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტის შემუშავების პროცესში.

10. იზრდება სახალხო დამცველის უფლებამოსილება

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
მართალია სახალხო დამცველის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვაში ბავშვთა უფლებების დაცვაც მოიაზრება, თუმცა "სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მოქმედი რედაქციით ხაზგასმული არ არის სახალხო დამცველის უფლებამოსილებები ბავშვის უფლებათა დაცვის კუთხით, გარდა ბავშვთა სახლში მოთავსებულ ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შემოწმებისა.	სახალხო დამცველს უფლება ექნება: • მოითხოვოს ინფორმაცია ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განმახორციელებელი პირებისგან; • გამოავლინოს ბავშვის უფლებების დარღვევის შემთხვევები, შეისწავლოს და მოახდინოს რეაგირება; • განიხილოს და რეაგირება მოახდინოს ბავშვის უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ განცხადებებსა და საჩივრებზე; ამასთანავე, ბავშვზე ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისთვის ამოქმედდება ცხელი ხაზი.

11. უფასო იურიდიული დახმარების მიღების უფლება

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
იურიდიული დახმარების სამსახურს **არ აქვს ვალდებულება** ყველა კატეგორიის საქმეზე ყველა არასრულწლოვანი უზრუნველყოს იურიდიული დახმარების სრული სერვისით.	იურიდიული დახმარების სამსახურს **დაეკისრება ვალდებულება** ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების საშუალებით ნებისმიერ არასრულწლოვანს გაუწიოს იურიდიული დახმარება, მისი სტატუსისა და საქმის კატეგორიის მიუხედავად.

12. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
სამოქალაქო კოდექსით, ხანდაზმულობის წესი საერთოა ყველა პირისთვის და არ ითვალისწინებს არასწრულწლოვანთა თავისებურებებს. ამასთანავე, ძალადობის მსხვერპლ ბავშვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მხოლოდ დამნაშავისგან აქვს.	სამოქალაქო კოდექსში ცვლილებით, ბავშვის მიმართ სექსუალური, ეკონომიკური, ოჯახში ძალადობის ან სხვა ფორმის ძალადობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ხანდაზმულობის ვადა აითვლება სრულწლოვანების მიღწევიდან. • ბავშვის უფლებათა კოდექსის თანახმად, დანაშაულის მსხვერპლ ბავშვს ექნება შესაძლებლობა კომპენსაცია მოითხოვოს სახელმწიფოსგან, როდესაც ამგვარი კომპენსაციის სწრაფად მიღება დამნაშავისგან შეუძლებელია. • იქმნება ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის მოკლე და გრძელვადიანი პროგრამები.

13. ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ არსებობს.	ბავშვის უფლებათა დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის, კანონმდებლობის განვითარების, ბიუჯეტირების და საპარლამენტო კონტროლის განხორციელების პროცესში სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად პარლამენტში იქმნება ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.

14. საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვზე ძალადობის რეაგირების მექანიზმი

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს ცხელი ხაზის არსებობას.	• ადრეულ და სკოლამდელ, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების დაწესებულებებში იმოქმედებს ბავშვზე ძალადობის შეტყობინების ცხელი ხაზი. • საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს ბავშვთა ძალადობის საკითხზე პასუხისმგებელ პირს, კოორდინატორს. • იქმნება გასაჩივრების დამოუკიდებელი მექანიზმი, რომლის ჩამოყალიბებაც განათლების სამინისტროს ევალება.[2]

15. ბავშვთან დაკავშირებული საქმეების განხილვის წესი

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ იცნობს ბავშვთან დაკავშირებული საქმეების უპირატესად განხილვის წესს. ასევე, არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზაციის საკითხი არ ეხება სამართლის ყველა სფეროს.	ბავშვთან დაკავშირებული საქმეების განხილვას ენიჭება უპირატესობა როგორც საერთო სასამართლოების სისტემაში, ისე ადმინისტრაციულ ორგანოში. ამასთან, ბავშვთან დაკავშირებული საქმეები უნდა გადაწყდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. სრულწლოვანი პირის მიერ ბავშვის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის საქმეები არ ექვემდებარება სასამართლო მედიაციას და მორიგებას. განისაზღვრა, რომ: • საერთო სასამართლოები უზრუნველყოფენ ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე ბავშვის სრულფასოვანი მონაწილეობის მხარდამჭერ საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისების დანერგვას და სხვა ღონისძიებებს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების დანერგვის პროცესის კოორდინაციის მიზნით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ექნება შესაძლებლობა: • შეიმუშავოს შესაბამისი წინადადებები • უზრუნველყოს მოსამართლეთა პროფესიულ გადამზადება ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში და დაადგინოს მოსამართლეთა სპეციალიზაციის სტანდარტი.

16. სანქციები, ჯარიმები

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ ითვალისწინებს.	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების თანახმად: • ღამის კლუბებში და „ინტერნეტ სალონებსა" და კაფეებში ბავშვის დაშვების წესების დარღვევა გამოიწვევს საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით/განმეორებისას 3000 ლარის ოდენობით • მაუწყებლობის საშუალებებით გავრცელებული პროგრამების ასაკობრივი ნიშანდების და საეთერო დროის განსაზღვრის წესების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება განმეორებით - 3000 ლარის ოდენობით • არასრულწლოვნის ჩაბმა ან/და გამოყენება ისეთი სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც ხელს უშლის განათლების მიღებაში ან საზიანოა მისი ჯანმრთელობის, ფიზიკური, გონებრივი, მორალური, ემოციური ან/და სოციალური განვითარებისთვის - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - 2 000 ლარის ოდენობით • საჯარო კინოჩვენებებზე ბავშვის დაშვების წესების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში - 5000 ლარის ოდენობით.

17. სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ არსებობს.	სქესობრივი აღზრდის შესახებ განათლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ მშობლის თანხმობის შემთხვევაში.

18. დიდი ზომის რეზიდენტული ზრუნვის სახლების ჩანაცვლება

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ არსებობს.	მთავრობა შეიმუშავებს და ახორციელებს ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის ერთიან სახელმწიფო სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას ბავშვთა დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების ეტაპობრივი დახურვის შესახებ.

19. რელიგიური კონფესიების როლი ბავშვთა უფლებების დაცვაში

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
არ არსებობს.	ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისას, ოჯახის მოთხოვნით შესაძლებელია ჩაერთოს მართლმადიდებელი ეკლესიის ან სხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელი ბავშვზე ზრუნვის უნარების გაძლიერების და ოჯახური თანაცხოვრების კონსულტირების მიზნით. ასევე, ოჯახის მოთხოვნის საფუძველზე, ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა მოხდეს მართლმადიდებელი ეკლესიის ან სხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლის ჩართვა და კონსულტირება.

შეფასება/რეკომენდაცია

მისასალმებელია პარლამენტის მიერ ბავშვის უფლებების შესახებ ერთიანი საკანონმდებლო აქტის შექმნა, თუმცა აღნიშნულ ცვლილებებს სჭირდება აღსრულების ეფექტური მექანიზმების არსებობაც, რომელმაც კანონით გარანტირებული ბავშვთა უფლებების დაცვა უნდა უზრუნველყოს. პარლამენტისთვის ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება არა თვითმიზანი, არამედ ბავშვის უფლებათა დაცვის ეფექტური ინსტრუმენტი უნდა იყოს, შესაბამისად, კანონის განხილვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის უფლებათა საკითხში ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციების მოტივირებული შენიშვნები;

წარმოდგენილი ცვლილებებიდან გამომდინარე *პოზიტიურად* უნდა შეფასდეს:

- ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებების გაზრდა ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის სისტემის განხორციელების საკითხში და ბავშვზე ზრუნვის მუნიციპალური სამსახურების შექმნა, სპეციალიზებული პირებით, თუმცა აუცილებელია მკაფიოდ გაიმიჯნოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების უფლება-მოვალეობანი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფუნქციათა დუბლირება და პასუხისმგებლობის თავიდან არიდების საფრთხეები. ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობა იმ შემთხვევაში იქნება ნაყოფიერი, თუკი მათი უფლებამოსილებები შეძლებისდაგვარად ზუსტად და ამომწურავად იქნება განსაზღვრული.
- დეინსტიტუციონალიზაციის ეროვნული გეგმის შესაბამისად, დიდი ზომის რეზიდენტული ზრუნვის სახლების თანდათანობით მცირე სახლებით ჩანაცვლება, რადგან ექსპერტებიც თანხმდებიან, რომ დამოუკიდებლად ცხოვრების უნარებს ბავშვები სწორედ მცირე, საოჯახო ტიპის სახლებსა და მინდობითი აღზრდის დროს უფრო სრულფასოვნად გამოიმუშავებენ.
- ბავშვის საკითხებზე მომუშავე პირების სპეციალიზაციის, მომზადების ვალდებულების აღება სახელმწიფოს მიერ, უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა ბავშვებისთვის, გასაჩივრების დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების დანერგვის ინიციატივა.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის *ზოგიერთი ჩანაწერი კოდექსს დეკლარაციულ ხასიათს აძლევს და ართულებს მის მიერვე განსაზღვრული ამოცანების მიღწევას,* რადგანაც მათ ხშირ შემთხვევაში თან არ ახლავს შესაბამის კანონებში ცვლილებები. მაგალითად:

- კოდექსით აღიარებულია, რომ სახელმწიფო ზრუნავს ალტერნატიული ზრუნვიდან გამოსულ პირებზე, რომლებსაც გარდამავალ პერიოდში ზრუნვა სჭირდებათ, კონკრეტული ღონისძიებების მითითების გარეშე;
- ბავშვის უფლებათა კოდექსი იცავს ინტერნეტ სივრცეში ბავშვს მავნე ზეგავლენისგან. ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ინტერნეტ სივრცეში განთავსების მოწესრიგება კი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე ხდება. მსგავსი ფართო უფლებამოსილების აღნიშნული ორგანოსთვის გადაცემა არაა მიზანშეწონილი, რადგან საქმე ეხება კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვას. ამასთანავე, რადგანაც ინტერნეტ სივრცის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობისთვის სიახლეს წარმოადგენს, არ არსებობს მისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, ამიტომ რეკომენდებულია სწორედ პარლამენტმა შექმნას მარეგულირებელი კომისიისთვის სახელმძღვანელო აქტი.

ნეგატიურად უნდა შეფასდეს კანონპროექტის შემდეგი ცვლილებები:

- **სქესობრივი აღზრდის გაკვეთილების მშობლის თანხმობით ჩატარება**. ქართული საზოგადოების დიდ ნაწილში მსგავსი საკითხები ტაბუირებულია და მშობლების უმეტესობა თავიანთი შვილებისთვის სექსუალური განათლების მიწოდების წინააღმდეგია. სქესობრივი აღზრდის შესაძლებლობა შეეზღუდებათ არა მხოლოდ იმ არასრულწლოვანებს ვისი მშობლებიც მსგავსი გაკვეთილების წინააღმდეგი იქნება, არამედ იმ ბავშვებსაც, რომელთა მშობლებიც სქესობრივი აღზრდის გაკვეთილების ჩატარებაზე თანახმა იქნებიან, რადგანაც შესაძლოა ეს არასრულწლოვანები დაცინვის, ბულინგის მსხვერპლნი გახდნენ.
- ასევე **გაუმართლებელია ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების საკითხზე სასულიერო პირების ჩართვა**, რადგან მოცემული საკითხი სცდება რელიგიური კონფესიის კომპეტენციის ფარგლებს და უხეშ ჩარევას წარმოადგენს სახელმწიფოს სოციალურ ფუნქციებში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პირების ჩართვა მოხდება მშობლის სურვილის შემთხვევაში;
- მართალია კოდექსის პროექტში რამდენჯერმეა აღნიშნული, რომ აკრძალულია ბავშვთა მიმართ ძალადობა, თუმცა საუბარი არაა ბულინგზე - ბავშვებს შორის/ბავშვთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ რთულ პრობლემაზე - და მისი აღკვეთის მექანიზმებზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვის უფლებათა კოდექსი პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად შეიცავს ბევრ ბუნდოვან, ხშირ შემთხვევაში კი ბავშვის უფლებათა და ძირითად უფლებათა გაუმართლებლად მზღუდავ ჩანაწერებს, რაც საბოლოო ჯამში ცხადყოფს, რომ გაუმართლებელია პარლამენტის მიერ კოდექსის ამ სახით მიღება და აუცილებელია გაგრძელდეს მსჯელობა მის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე.

1 მაგალითად, ინტერნეტ პროვაიდერი ვალდებულია შეიმუშაოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც მას შესაძლებლობას მისცემს, მომხმარებლის მოთხოვნით დაბლოკოს მისი წვდომა ბავშვისათვის საფრთხის შემცველ ინფორმაციაზე. ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებში და ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებებში ბავშვის წვდომა ინტერნეტ ქსელზე დასაშვებია, თუკი დაწესებულებაში დანერგილია ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ბლოკირების შესაბამისი ტექნიკური საშუალებები (ფილტრები).

2 აღნიშნული მექანიზმი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს 2020 წლის 1 მარტამდე

Sweden/შვედეთი Sverige

პუბლიკაცია მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით